№20130109 29 იანვარი 2013 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და

იურიდიული დახმარების მინისტრს ბატონ სოზარ სუბარს

ბატონო სოზარ,

მოგახსენებთ, რომ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს XX საუკუნის საქართველოს საბჭოური ისტორიის შესწავლა. IDFI წლების განმავლობაში მუშაობს არქივების გახსნილობაზე, არქივებში დაცულ დოკუმენტებთან წვდომის გაზრდაზე, ასევე სახელმწიფო არქივების მოდერნიზებაზე. ინსტიტუტს განხორციელებული აქვს არაერთი კვლევითი პროექტი, ამჟამად ვასრულებთ საკმაოდ მასშტაბურ კვლევას „სტალინის სიები საქართველოზე", რომელიც მოგვითხრობს 1937-1938 წლებში სტალინის რეზოლუციით საქართველოში რეპრესირებულ 3600 ადამიანის შესახებ. კვლევის ფარგლებში, საარქივო მასალებზე დაყრდნობით (უმეტეს წილად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი), შეგროვებულ იქნა ინფორმაციები აღნიშნულ პიროვნებებზე, რომელიც გამოიცემა წიგნის სახით, რომელიც გარდა რეპრესირებულთა შესახებ ინფორმაციისა, მოიცავს 1937-1938 წლების რეპრესიების შესახებ კვლევას, სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე მრავალ დოკუმენტსა და ფოტო მასალას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გვინდა მოგახსენოთ, რომ XX საუკუნის საქართველოს საბჭოური პერიოდის ისტორიის შესასწავლად, ისევე, როგორც ისტორიული მეხსიერების შესანარჩუნებლად უმნიშვნელოვანესი დოკუმენტური მასალაა და ფასდაუდებელი ინფორმაციის შემცველია **ორთაჭალის ციხის (ყოფილ №1 საპყრობილის) არქივი და იქ დაცული პატიმართა პირადი საქმეები.**

2008 წელს მოხდა ორთაჭალის ციხის დემონტაჟი. ორთაჭალის ციხე, იმ ჟამად, შედიოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ბედი ეწია ორთაჭალის ციხის არქივს და იქ დაცულ პატიმართა პირად საქმეებს, ასევე, ვის რწმუნებულებაში ირიცხება ამჟამად ორთაჭალის ციხის არქივი.

ბატონო სოზარ, წინასწარ გიხდით მადლობას დახმარებისთვის.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი